# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

## დადგენილება №01-06-02/46

ქ. თბილისი 9 ნოემბერი 2021

### სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კარლო კოპალიანის 2021 წლის 9 ნოემბრის №05-01/11 წერილის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 9 ნოემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

- ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი: წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილებაში გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 3,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 600 ლარი (სულ 1800 ლარი) და დაემატოს მეცნიერ-თანამშრომლის 0,5 ერთეული ხელფასით - 250 ლარი; კლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 600 ლარი და დაემატოს მეცნიერ-თანამშრომელის 0,5 ერთეული ხელფასით - 250 ლარი; ამინდის პროგნოზირების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილებაში გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული ხელფასით - 300 ლარი; ასევე, დამხმარე პერსონალს დაემატოს: მთავარი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 700 ლარი, მთავარი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 440 ლარი, მთავარი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 400 ლარი, წამყვანი ინჟინერის 0,5 საშტატო ერთეული ხელფასით - 250 ლარი; ასევე, 1,0 მთავარი სპეციალისტის ხელფასი განისაზღვროს 700 ლარით, ნაცვლად 650 ლარისა და 1,0 მთავარი სპეციალისტის ხელფასი განისაზღვროს 500 ლარით, ნაცვლად 400 ლარისა; ასევე, ადმინისტრაციაში დირექტორის თანაშემწის ხელფასი განისაზღვროს 700 ლარით,

ნაცვლად 650 ლარისა და 0,5 სწავლული მდივნის ხელფასი განისაზღვროს 300 ლარით, ნაცვლად 90 ლარისა.

აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს ინსტიტუტის საშტატო ერთეულებისა და სახელფასო ფონდის შეცვლას: ერთეული 68,0 და ფონდი თვეში - 36 116 ლარი; ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 01 ნოემბრიდან;

- ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი: მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილებაში გაუქმდეს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 600 ლარი; მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილებას დაემატოს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 600 ლარი და გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 0.5 საშტატო ერთეული ხელფასით - 300 ლარი; ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და ეკოლოგიის განყოფილებას დაემატოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით - 375 ლარი; გაუქმდეს დამხმარე პერსონალის წამყვანი ინჟინრის 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 575 ლარი და დაემატოს სპეციალისტის 1,0 საშტატო ხელფასით - 475 ლარი; ასევე, 1,0 უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 500 ლარით, ნაცვლად არსებული 475 ლარისა.

აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს ცენტრის საშტატო ერთეულებისა და სახელფასო ფონდის შეცვლას: ერთეული 24,0 და ფონდი თვეში 16900 ლარი; ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 01 დეკემბრიდან;

- არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი: მართვის პროცესებისა და მოწყობილობების განყოფილებაში - განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი) შეიცვალოს განყოფილების უფროსი (უფროსი მეცნიერი-თანამშრომლით) და შესაბამისად, ხელფასი განისაზღვროს 750 ლარით, ნაცვალდ 835 ლარისა; ასევე, დაემატოს უფროსი მეცნიერი-თანამშრომლის 1,0 ერთეული ხელფასით - 600 ლარი; მინდია სალუქვაძის სახელობის სისტემების იდენტიფიკაციისა და ოპტიმალური მართვის განყოფილებაში - განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი) ხელფასი განისაზღვროს 850 ლარით, ნაცვლად 835 ლარისა; ასევე, გაუქმდეს უფროსი მეცნიერი-თანამშრომლის 0,5 ერთეული ხელფასით - 300 ლარი; ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის ხელოვნური ინტელექტის პრობლემების განყოფილებაში - განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი) ხელფასი განისაზღვროს 850 ლარით, ნაცვლად 835 ლარისა; ასევე, გაუქმდეს: უფროსი მეცნიერი-თანამშრომლის 0,5 ერთეული ხელფასით - 300 ლარი; ტექნიკოსის 1,0 ერთეული ხელფასით - 200 ლარი და დაემატოს ინჟინერის 1,0 ერთეული ხელფასით - 290 ლარი; ენობრივი მოდელირების განყოფილებაში - განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი) ხელფასი განისაზღვროს 850 ლარით, ნაცვლად 835 ლარისა; ასევე, მეცნიერი თანამშრომლის 0,5 ერთეული გახდეს 1.0 ერთეული ხელფასით თვეში - 500 ლარი; ვახტანგ გომელაურის სახელობის ენერგოსისტემების სტრუქტურისა და ენერგოდანადგარების ოპტიმიზაციის განყოფილებაში - განყოფილების უფროსის - სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის (მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი) ხელფასი განისაზღვროს 950 ლარით, ნაცვლად 935 ლარისა; ასევე, გაუქმდეს უფროსი ინჟნერის 1,0 ერთეული ხელფასით - 320 ლარი და დაემატოს მეცნიერი თანამშრომლის 1,0 ერთეული ხელფასით - 500 ლარი; საორგანიზაციო-სამეურნეო განყოფილებაში - საწყობის გამგის

ხელფასი განისაზღვროს 330 ლარით, ნაცვლად 300 ლარისა; ასევე გაუქმდეს სპეციალისტის 1,0 ერთეული ხელფასით - 250 ლარი; საინჟინრო-ტექნოლოგიურ განყოფილებაში გაუქმდეს ინჟინერის 1,0 ერთეული ხელფასით - 290 ლარი.

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, ინსტიტუტი განისაზღვროს 64,5 საშტატო ერთეულით, ნაცვლად 66,0 ერთეულისა; ხოლო სახელფასო ფონდი თვეში არ იცვლება - 33 8853 ლარი; ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 01 დეკემბრიდან.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**